სამშობლო

კვირა
~~პარასკევი~~
4 ოქტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 190. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 190

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო". ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო თეატრი მონ-პლეზირი.

5 6 და 7 ოქტომბერს დაეშურეთ და იხილეთ დიდებული მონოპოლიური სურათი! ზღვაზე და ხმელეთზე მომხდარი, მსოფლიოს შემაძრწუნებელი, სისხლის ღვრის ამბები, რომელმაც მთელი რუსეთის ყურადღება მიიქცია. **ევროპისა და დიადი რუსეთ-გერმანიის ომი.** დიდი სამხედრო სურათი, გადაღებული უკანასკნელ ომის ველზე. სურათი შეიცავს 57 ეპიზოდს. დაუკრავს ორკესტრი სამხედრო მუსიკისა. ნათლად გაიგონებთ ყუმბარების აფეთქებისა, შენობების დანგრევისა, თოფის სროლისა და საიერიშოთ წასულ რაზმების საყვირების ხმებს. ყველა ეს იწვევს ბრძოლის სრულს ილუზიას.

კვირას, 4 ოქტომბერს, სეფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ექიმ სიმონ სპირიდონის ძის ქვარიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებულის მეუღლე თამარა მიხეილის ასული, დედა ივლიანა, ძმა კონსტანტინე, რძალი ნინო, დები: ნინო ლორთქიფანიძისა, ვერა ნანეიშვილისა და ემილია ბაქრაძისა მეუღლეებით. პანაშვიდი დაიწყება 11½ საათზე. 1—1—2094

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მანია, დედა ირინე, ძმები: ერმილე, ილარიონი, თეოდე და მიხაკო, რძლები: მაკრინე, ევა, ელისაბედი, ოლია და მარიამი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, მცირე ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, მეორის საყვარელი შვილი, მესამეთა ძვირფასი ძმა, ხოლო უკანასკნელთა პატივცემული მაზლი

პორფილე მერაბის ძე მაღლაკელიძე.

დაკრძალვა მიცვალებულისა მოხდება კვირას, 4 ოქტომბერს, სოფ. დიმის მთავარანგელოზის ეკლესიის საზოგადო სასაფლაოზე. 1—1—2097

კვირას, 4 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი პრაპორშჩიკის

ალექსანდრე (ალიოშა) ანტონის ძის თავად ჩხეიძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ქვრივი მეგი პლატონის ასული კნეინა ჩხეიძისა თავის პატარა ქალებით: ვერიჩკა და კატიათი; სიმამრი პლატონ ბეგლანის ძე კორძაია, სიდედრი ლილოსი მურძაყანის ასული კორძაიასი; ცოლის დები: ნინო პლატონის ასული გველესიანისა, ცაცა პლატონის ასული უზნაძისა და ცოლის ძმა ბარდლა პლატონის ძე კორძაია. 1—1—3030

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 1, 2 და 3 ოქტომბერს ახალი საუცხოვო და ფართო პროგრამა. **ქრონიკა გომონისა.** მიმდინარე ცხოვრებიდან.

მილიონების ჰიპნოზის ქვეშ.

7 და 8 სერია 4 ნაწილით.

პირველი დებიუტი. კომიკური სურათი ნორდისკის სერიიდან **კოროტიშკინის** მონაწილეობით.

ორშაბათიდან 5 ოქტომბ. ახალი პროგრამა. **სულგრძელი მოხეტიალე.** დრამატ. ეტიუდი 2 ნაწილათ. **გასაქირავებელი ოჯახი.** მხიარული კომედია 2 ნაწ.

ქალაქის თეატრი.
„ქართული დრამა".

კვირას, 4 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება **მესამეჯერ ი. გედევანიშვილის** ცნობილი პიესა

სინათლე.

5 სურათად.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი საჩვეულებრივოა.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
რეჟისორი **შ. დადიანი.**

ანონსი: იმზადება „სახელმწიფო სადგომი".

კვირას, 4 ოქტომბერს, სამების სკოლის დარბაზში, მსახიობი გრიგოლ ჩარკვიანი, სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართავს ქართულ წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება:

1. **პატარა კახი.** მე-2 მოქ. ა. წერეთლისა.
2. **თამარ ბატონიშვილი** მე 4 მ. კ. მესხისა.
3. **უბედური დღე.** ვოდ. გ. ბალანჩივაძისა.
4. **შეშლილის წერილებს.** წაიკ. რუსულ ენაზე ბ. მიკარ-ბეკი.

დასასრულ დივერტისმენტი. ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.

განცხადება.

ქუთაისის **ქალთა საზოგადოების** გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ დამატებითი **არჩევნები** (5 სარევიზიო კომისიის წევრისა და 4 კანდიდატისა) დანიშნულია ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ჭიათურის შავი ქვის მრეწველ. საბჭოს დარბაზში. 3—1

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1915 წლის 7 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, გამგეობის ახალ დარბაზში (მიხაილოვის ქუჩაზე)

საჯარო ვაჭრობით

გაიცემა ოთხი ათა-ათი საწოლიანი საზამთრო „ბარაკის" აშენება, ღირებული სულ 12000 მანეთამდი. შენობის ასაგებად დანიშნულია ადგილი ქალაქის ახალ საავათმყოფოს გვერდით, სალორიაში. კონდიციების, ხარჯთ-აღრიცხვისა და შენობის გეგმის გაცნობა შეიძლება გამგეობაში დილის 9 სა-დან ნაშუად. 2 საათამ. 3—1

მისი ყოვლად უსამღვდელოესობის ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გიორგის ნებართვით და ლოცვა—კურთხევით ნოემბრის შუა რიცხვში ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება

ქართულ სასულიერო მხატვრულ საგალობელთა საღამო-კონცერტი

პ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გუნდები: ქუთაისის ქართულ მომღერალთა საზოგადოებისა ქუთაისის, ქალთა საეპარქიო სასწავლებლისა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, თბილისის კერძო მომღერალთა გუნდი და სხვანი. განზრახულია მომღერალთა რიცხვი ორასამდის შეავსოს, ამისთვის საკონცერტო ხოროში მიიღებიან კერძო პირნი, ქალნი და ვაჟნი რომელთაც, უკეთუ მოისურვებენ წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ გაზ. „სამშობლოსა" და „მეგობრის" რედაქციებში. რეპეტიციების დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული ადგილობრივ ქართულ გაზეთებში. 2—1

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, ბარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძი. ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 სექტემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში, ბაბიტის ტბის აღმოსავლეთით, ჩვენ ხელთ ვიგდეთ გერმანელების ჰაეროპლანი. დვინის რაიონის პირზე მტრის ყველა იერიში მოგერებულ იქნა. შლისბერგის რაიონში ილლუქსტის დასავლეთით ბრძოლა დასრულდა; ჩვენმა ჯარმა ამ სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მაღლობები დაიპყრო. ღამით გერმანელები შეეცადნენ დანაკარგის უკან დაბრუნებას, მაგრამ ვერას გახდნენ. საარტილერიო ბრძოლა მთელ პირზე გრძელდება. გერმანელები აგრეთვე რამდენჯერმე შეეცადნენ თავის ძველ მდგომარეობის აღდგენას სოფ. მატეკის რაიონში, დემმენის ტბის სამხრეთით, მაგრამ მტერმა დიდი ზარალის შემდეგ უნაყოფო ცდას თავი მიანება. სოფელ გავრანცის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში გერმანელებმა ჩვენს წინააღმდეგ ორჯერ მოიტანეს იერიშები, მაგრამ ორთავეჯერ მოგერებული იქნენ. მიუხედავათ გერმანელების სასტიკი სროლისა, ჩვენი ჯარი ბრძოლით გადავიდა დაბა ღრისვიატის სამხრეთით მდებარე ტბების ყელზე: ნაროჩისა და ვიშნევსკოეს ტბებს შუა საარტილერიო სროლა გაცხოველდა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას, პრიპიატის სამხრეთით, რაფალოვკას ჩრდილოეთით, მტერი განდევნილია ფოლვარკ ალექსანდრია და სოფლებ როდკა, ბელსკა და ვოლსკაიადან. ამასთანავე ჩვენ დავატყვევეთ 5 აფიცერი და 200 ჯარის კაცი; ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ორი ტყვიის მფრქვეველი. კლევანის ჩრდილოეთ-დასავლეთით მტერი უტევდა კარპილოვკას წინააღმდეგ; მაგრამ მოგერებულ იქნა. გალიციაში, მდ. სტრიპაზე, ტრემბოვლის დასავლეთ მდებარე რაიონში, ჩვენმა ჯარმა გამარჯვება განავითარა და სოფ. ბასნიუჩიკი დაიპყრო. როგორც აქ, ისე გუშინ დაპყრობილ სოფ. გაივორონკის რაიონში, ბრძოლა არ მინელებულა. ჩვენი ცხენოსანი ჯარის ნაწილი ფარულად

გავიდა სოფ. გაივორონკიდან, სწრაფად გაიშალა და ცხენ და ცხენ მისია მტრის მწკრივს, გასაოცარი სიმამაცით გაიარა ცხენოსანმა რაზმმა სამი მწკრივი გამაგრებულ მტრის ჯარისა, რომელიც უწესრიგოდ ისროდა და ბოლოს გაიქცა კიდეც. ცხენოსანთა ბრწყინვალე მოქმედება იყო აგრეთვე სოფ. კრიჟოვოლუჟსა, ბაზარისა და კომილოვცესთან, ჩერტკოვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში.

პეტროგრადი. 1 ოქტომბერი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. გერმანელების ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო რკინის სადგურ რემერსგოფზე, ფრიდრიხშტატის ჩრდილოეთით. იაკობშტატის რაიონში საარტილერიო ბრძოლა ალაგ-ალაგ გაცხოველდა. 30 სექტემბერს, ღამით დვინსკის რაიონში „ცეპელინი" გადმოფრინდა და 50 ყუმბარამდე ჩამოაგდო. ყუმბარებს არვინ უმსხვერპლია. დვინსკის პირზე ყველგან საარტილერიო ბრძოლა იყო. შლოსბერგის გზატკეცილის სამხრეთით მდებარე რაიონში, რომელიც გუშინ ბრძოლით დავიპყარით, სასტიკი ბრძოლა გრძელდება. სასტიკი ბრძოლა გრძელდებოდა აგრეთვე სოფ. სპრუგინოსთან (სოფ. გორბუნოვკის რაიონი), ემმენ-დრისვიატის ტბების რაიონში კერძო ხასიათის იერიშები გერმანელებისა ყველგან მოგერებულ იქნა. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. მდ. პრიპიატზე დაბა ნოველის სამხრეთით ჩვენ სოფ. ხრაპინი დავიპყარით. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას, რაფალოვკის ჩრდილოეთით, ჩვენმა ცხენოსნებმა ბრძოლით დაიპყრეს ფოლვარკი ზალიადინი. გალიციაში მდ. სტრიპას პირზე მტერი ბევრ ალაგას მოდიოდა იერიშით. განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა სოფ. ბენიავისა და გაივორონკის რაიონებში, ტრემბოვლის დასავლეთით.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის პირის რაიონში ოსმალთა რაზმმა ჩვენი მოწინავე სანგრების დაახლოვება მოიწადინა, მაგრამ განდევნილ იქნა ხელის ყუმბარებით. ვანის ტბის სამხრეთის პირზე ოსმალებმა ვასტანის უღელტეხილისაკენ წაიწიეს; აქ მათი ერთი კალონა საარტილერიო სროლით იყო გაფანტული.

ზღვის პირის რაიონში ოსმალები ამაოდ სცდილობდენ ჩვენი სადარაჯოების გარღვევას; ჩვენ ვიგერიებთ მტერს თოფისა და ხელის ყუმბარების სროლით. ქვედა ოლთისისა და სევრი ჩაის მიდამოებში, ტორტუმის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით, მზვერავთა შეტაკება ხდებოდა. ვასტანის უღელტეხილთან, ვანის ტბის სამხრეთის კიდეზე, ჩვენ გავანადგურეთ ოსმალთა რაზმი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 20 სექტემბერი. სადამოს ოფიციალური ცნობა. მტერმა დღისით სასტიკი სროლა აუტეხა სუშეს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაპყრობილ სანგრებს. ამ ადგილას ჩვენ მიერ დატყვევებულთა რიცხვი 164 უდრის. მათ შორის სამი აფიცერია. სომადან სამხრეთით ტოლელუახა და ბიენნას რაიონში, აგრეთვე მდ. ენის პირზე გერმანელები დიდად დაზარალდნენ. ნუვრონის მთა-გორიან ადგილებში ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. მტერმა სუასონს რამდენიმე დიდი ყალიბის ყუმბარა ესროლა; სამაგიეროდ ჩვენ ძლიერ დავუშინეთ ზარბაზნები მის ბატარეებსა და სანგრებს. შამპანში ჩვენი წინსვლა გრძელდება გუტის ხრამის მიმართულებით. მეზონ-დეშამპანის მიმართულებით მდებარე პოზიციებს მტერი ზარბაზნებს ესროდა. ლოტარინგიაში მტერს უნაყოფოდ ჩაუარა შემოტევის ცდამ. იერიში მოგერებულ იქნა. მანგუს ხიდის მახლობლად, ვოგეზებში საშინელი სროლის შემდეგ, მტერმა იერიში მიიტანა ერთ-ერთ ჩვენ სანგარის წინააღმდეგ და მოაღწია ჩვენ პოზიციამდე ლენჟთან და შრაცმენნელესთან. იერიშები მოგერებულ იქნა. მტრის ნაწილმა შესძლო ერთ ჩვენ სანგარში გამაგრება, მაგრამ იქიდან მალე გამოვრეკეთ.

გავრი. 29 სექტემბერი. ბელგიელთა ცნობა. წყნარი ღამის შემდეგ მტერმა დილიდანვე ზარბაზნები დაუშინა ფიურნესს და ჩვენს სანგრებს დიქსმიუდსა და სოსტკერკეს, აგრეთვე ნიუკაპელლეს. მებარნეს სახლის მიმართულებით ბრძოლა მოხდა ხელის ყუმბარებით. ჩვენ ენერგიულად ვუპასუხებდით მტრის სროლას.

პარიზი. 30 სექტ. სადამოს ოფიციალ. ცნობა. დღეს მტერმა დიდი ძალებით დაიწყო ბრძოლა სუშეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყის პირდაპირ, რომელსაც ბუაზანში ეწოდება; აგრეთვე მცირე საველე სიმაგრის წინააღმდეგ სუშეანგრის გზის აღმოსავლეთით. აგრეთვე იერიშებით მოდიოდნენ ვიმის მწვერვალის წინააღმდეგ ჟივანშის ტყის პირდაპირ და რამდენიმე მეზობელ სანგრის წინააღმდეგ. მიუხედავათ ძლიერ სასტიკი საარტილერიო სროლისა, და, მიუხედავად საშინელი იერიშებისა, მტერმა შესძლო მხოლოდ ერთი ადგილის დაპყრობა ჟივანშის ტყესთან. დანარჩენ ადგილებში ჩვენი პოზიციები შევინარჩუნეთ და გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ. იუწყებიან, რომ ძლიერი ბრძოლაა ლუგონის სექტორში, სომმას სამხრეთით, აგრეთვე შამპანში სუენის ჩრდილოეთით და მასიჟთან, არგონებში გარაზეს ჩრდილოეთით, აგრეთვე მაასსა და მოზელს შუა ფლირეს ჩრდილოეთით. ვოგეზებში ჩვენ სროლით გავფანტეთ მტრის რაზმი, რომელიც იერიშით წამოვიდა ლიკას ველზე.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. პრესის ბიურო იუწყება: გუშინ სადამოს გერმანელების „ცეპელინი" თავს დაესხა ლონდონის ნაწილს და დიდძალი ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარა ჩამოაგდო, მაგრამ დიდი ზარალი არ ყოფილა. ზოგან ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მყისვე ჩააქრეს. არც ერთი საზოგადო შენობა არ დაზიანებულა. მოკლულია 2 ქალი და 6 კაცი. დაჭრილია 2 ქ.

პარიზი. 1 ოქტომბერი. გუშინ სადამოს შატო-ტიერიზე „ცეპელინი" გამოჩნდა და 5 ყუმბარა ჩამოაგდო, რომელიც ქალაქს გარედ აფეთქდა, მაგრამ ვერაფერი დააზიანა.

პარიზი. 30 სექტემბერი. „მესაჟერი მარიტიმის" გემ „იუნნანზე" წყალქვეშამ იერიში მიიტანა და ნაღმი მოახვედრა. გემი არ ჩაძირულა. მეზღვაურნი 90 კაცი ნავებით გადაარჩინეს.

პარიზი. 30 სექტემბერი. დელკასსემ მინისტრის თანამდებობაზე უარი განაცხადა. პალატაში წევრებმა ვივიანისაგან განმარტება მოითხოვეს. ვივიანმა განაცხადა, რომ კაბინეტის წევრებს შორის უთანხმოება არ არის, მაგრამ სამხედრო პირობების გამო ყველა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა. პალატამ დიდი უმრავლესობით კაბინეტს ნდობა გამოუცხადა.

სამხრეთის ასპარეზი.

რომი. 29 სექტემბერი. მთავარ-ბანაკის ცნობა. მდ. ასტიკოს და მის შემდინარეთა წინ მდებარე გორებზე იერიშებს ხშირად სცვლის კონტრ-იერიშები. მონტე-კოსტონის მიმართულებით, მტრის შემოტევა მალძის მიმართულებით მოგერიებულ იქნა 28 სექტემბერს განთიადისას. ზედა ვალდოსზე ჩვენ ხელახლა წინ წავიწიეთ. დანარჩენ პირზე, კერძოდ კი კარნიაში, ჩვეულებრივი უმნიშვნელო სროლა იყო. კარსოზე 28 სექტემბერს სადამოს, სასტიკი საარტილერიო და თოფის სროლის შემდეგ, მტერმა ფართო პირით იერიში მიიტანა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ვერმელიატოს აღმოსავლეთით, აგრეთვე სეიბუსის მთაზე, მაგრამ დიდის ზარალით მოგერებულ იქნა.

ნიში. 30 სექტემბერი. ბელგრადის დაპყრობის წინ მტერმა მას დიდი ყალიბის ზარბაზნები დაუშინა, 22—25 სექტემბრამდე. ბევრი უბანი ძლიერაა დაზიანებული, მცხოვრებთა შორის ბევრი დაიღუპა.

ნიში. 29 სექტემბერი. 28 და 29 სექტემბერს მდგომარეობა ომის ასპარეზზე ასეთი იყო: დუნაის პირზე გრადიშტეს სამხრეთით და სმედერევოს სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა იყო. სმედერევო მიტოვებულია. სმედერევოს მახლობლად სოფ. ლიპა მტერმა დაიპყრო სასტიკი ბრძოლის შემდეგ. მას დიდი ზარალი მოუვიდა. ბელგრადის მხრივ მტერს იერიშები მოაქვს ველიმომრულოვსა და ტორლაკთან.

ცეტინიე. 30 სექტემბერი. 28 სექტემბერს მტერი განაგრძობდა იერიშების მიტანას დრინის პოზიციების წინააღმდეგ გრახოვოსთან. გაცხო, პივა და დრინას სამკუთხედში მტრის ჰაეროპლანები გაჩნდნენ, ერთი მათგანი პლევლესთან ჩამოვარდა და შავმთიელებს ჩაუვარდა ხელში.

რომი. 30 სექტემბერი. მთავარ ბანაკის ცნობა. ჩვენი ჯარი მოქმედებდა ტიროლისა და ტრენტინოს საზღვრების გასწვრივ, განსაკუთრებით კი მდ. ადიჯერა და ბრენტას მიმდინარეობაში, სადაც მტერი დიდად დაზარალდა. გუშინ შეტაკება მოხდა რიბორის ველზე სანჯიორჯიოსა და კამპელლოს ველებზე. იტალიელებმა გაიმარჯვეს. კირნიაში 28 და 29 სექტემბერს მტერი სცდილობდა იერიშის მიტანას პალარკოლასა და სალინკეტის შუა მთის ნაკადის პონტებანის მიმდინარეობით. ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ, რომელიც 28 სექტემბერს დაიწყო და ღამითაც გაგრძელდა, 29 ქვეითა ჯარმა თავგამოდებული გმირობით უკუაგდო იერიშები და დიდათაც დააზარალა მტერი.

მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესი.

სან-ფრანცისკო. 1 ოქტომბერი. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესმა რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც დავით სტაარ-იორდანს დაავალა ვაშინგტონში დაუყონებლივ მიმართოს ვილსონს მოწოდებით, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა კონფერენცია მოიწვიოს მშვიდობიანობის დამყარების მიზნით.

იაპონიის პირველმა მინისტრმა ოკუმამ მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესს წერილით მიმართა, რომელშიაც ამბობს, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარება ფანტაზია იქნება იქამდის, სანამ მილიტარიზმი არ მოისპობა. შეუძლებელია ზავის ოცნების განხორციელება, სანამ ცალკე ეროვნებანი იარსებებენ, აგრეთვე ცალკე პირები, რომელნიც დარწმუნებულნი არიან თავის უპირატესობაში სხვა ერებთან და რომელნიც მიმართვენ ფიზიკურ ძალას თავის უპირატესობის დასამტკიცებლად.

საბერძნეთი.

ათენი. 29 სექტემბერი. გაზეთი „ესტია" იუწყება: სერბიის მთავრობამ ათენის კაბინეტს აცნობა ბულგარეთის თავდასხმის თაობაზე და სურვილი განაცხადა გაეგო, თუ რა გზას დაადგებოდა საბერძნეთი არსებულ მოკავშირულ ხელშეკრულობის მიხედვით. იუწყებიან, რომ მთავრობა შემდეგი თეზისის განმარტებით უპასუხებს: ამ შემთხვევაში მოკავშირეობას აქ ადგილი არ აქვს, რადგან ხელშეკრულება მხოლოდ ბალკანეთის ნახევარ კუნძულს ეხებოდა და მას თავდასაცავი ხასიათი ჰქონდა; ეხლა კი ბალკანეთზე დაწყებული ომი საერთო ევროპის ომის ეპიზოდია. სერბიამ ბულგარეთთან კავშირი შეთანხმების სახელმწიფოებთან ერთად შესწყვიტა; ამის გამო საბერძნეთი, ინარჩუნებს თავის ძალებს ხელშეუხლებლათ, და, თუ საჭიროება მოითხოვს. შეძლება ექნება თავისი ინტერესები დაიცვას; პირიქით, საბერძნეთი რომ ჩარეულიყო თანამედროვე პირობების გამო, დახმარებას ვერ გაუწევდა სერბიას.

სოლუნი. 29 სექტემბერი. მოდის ახალი ტრანსპორტები ინგლის-ფრანგების ჯარისა. სოლუნის რეიდი გემებითაა სავსე, სადაც ნაპირზე გადააქვთ ყუმბარები, სამხედრო მასალა, მებარგულები და სხვა.

ათენი. 29 სექტემბერი. სერბიის ელჩმა საბერძნეთის კაბინეტს აცნობა, რომ ბულგარეთმა სერბიელთა წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო.

სოლუნი. 29 სექტემბერი. სოლუნსა და რუმინიის შუა რკინის გზის მოძრაობა შესწყდა. მოკავშირეთა ჯარის გადმოყვანას განაგრძობენ, ყველანი ნაცად ჯარებს ეკუთნიან, რომელთაც უკვე მიუ-

---

შთაბეჭდილებანი.

(დიდუბიდან შიომღი).

V

ამ ცხარე ლაპარაკში შეუმჩნევლად ბორანზეც გავედით და კალოზეც ავედით, ბერებს პური ჩაეშალათ, გაელეწათ და ანიავებდენ. ჩვენც ინერციით წავყვებოდით ორთითეს და ჩავებით მუშაობაში. ყველანი ათ წუთში უკვე ბზით მტვერში ვიყავით გახვეული მღვდელმთავარი ყველას გვჯობნიდა. ამ წუთში სრული ბედნიერები ვიყავით ყველანი.

ერთი მხრით ჰაერიდან წმ. ხორბალი რიჩხრით მიდიოდა ძირს და ხვავად სდგებოდა, მეორეზე ბზის მტვერი მიქონდა ნიავს, მესამეზე კი წმ. ბზის ხვავი იზრდებოდა და იქვე ვებერთელა პირდაღებული ქიტკირის საბზლისკენ მიგორავდა. ყანებიდან ძნით დატვირთული ურმები მოდიოდენ და ცოტა ხანში ხელახლათ ივსებოდა კალო.

როცა კალოზე ხალისი მოვიკალით, იქაურობის დათვალიერებას შევუდგით. წინ მასპინძელი მღვდელმთავარი მიგვიძღოდა დიდი ხალისით და ყველაფერს გვიჩვენებდა.

— ეს საბძელია, შიგ იმოდენა ბზე ჩადის, რო კიდეც ვყიდით რაოდენიმეს, თუმცა ამოდენა ხარ კამეჩი,—ძროხები და ცხენები გვიბია: გვიხსნიდა იგი, ეს გომურია, ძველებურად ბოსელი, სადაც 20 ულამდე ოთხფეხი საქონელი გვიბია. ათი სული წელს კიდეც გავყიდეთ, რო ბინა აღარ კმაროდა. ეს ხარები შინ გაზდილები არიან, ჩვენი ძროხების შვილებია. ეს პურის სალეწი მანქანა არის, ეს სანიავებელი, ეს სათიბავი, ეს ჩალის საჭრელი.

მართლაც რომ იარაღი ბევრი აღმოჩნდა, რასაც არ ველოდი, თუმცა მათთვის ჯერ ბინა ვერ მიუჩენიათ და ცის ქვეშ ჰყრიან და ილანგებიან. აქედან გადავედით ბაღში, სადაც ვაზი, მაღალ ბალახში გახვეული ნახევრად ჰრაქს გაეტრუსა, შარშანაც ნაკლები მოსავალი ყოფილიყო ღვინის, როგორც მასპინძელმა გვითხრა. ვენახის გვერდით ხილნარია, სადაც ყურადღებას იქცევს ახალი ნამყენი, კაი ჯიშის ვაშლები. მოხიბულები ვიყავით და დიდი მადით შევჭამეთ ყველამ ორორ-სამსამი ვაშლი.

მერე შევედით მარანში. სწორედ გითხრათ, „შიოს მარანს" სულ არ ჰგავდა. ვებერთელა ქვევრები, რიცხვით ოცამდე, ყველა ამომხმარი იყო, თუმცა მათი რიცხვი და ზომა ოდესღაც ღვინის კაი მოსავალზე მოწმობდა.

არ მომეწონა არც მოვლა ქვევრებისა, იმერეთში უკეთ უვლიან. იმერელი ცარიელ ჰურსაც ისე უვლის როგორც კოპწია თავმომწონე ქალი თავს: თხლეს იღებს, რეცხს, შიგ ცოტა წმინდა წყალს სტოვებს, სარქველებს ცეცხლზე უწვავს, ანაბმირებს გარედან, რომ მიწა არ მოეკიდოს, მერე ახალი, ძალზე დაზელილი, წითელი აყალო მიწით ლესავს ერთი ჩარექის სისქეზე, ზევითგან კიდევ მიწასა ყრის ზვინად, რომ აყალო მიწას სინესტე შეუნახოს, ბევრგან წალამსაც აყრიან ზევითგან სამთავეს სიგრილისათვის, ბოლოს ქვით ჯორგავს და ასე აქვს დაცული. შიოში კი ყველა ქვევრები გამხმარი, თავწაგლეჯილი, მიწის მტვერწაყრილი იყო. ასეთს მოვლილ ქვევრში კაი ღვინოც ძმრად იქცევა ცოტა ხანში.

მარნიდან ბეღელში შევედით, სადაც სამასამდე ფუთი ახალი გალეწილი პური ეყარა. სწორედ, კაი სანახავია იმერლისათვის. სწორეთ მოგახსენოთ! იმერელს პური ძლიერ უყვარს, თუმცა ხილად და არა მუდამ. იმერელი გლეხი, თუ პური მეტი მოუვიდა სიმიდზე, პურს სიმიდში ცვლის და სჭამს, უფრო სახეიროა, ბარაქიანია და არც იწყინება.

VI.

ცოტა ხნის დასვენების შემდეგ აღმართს შევუდექით. მალე ჩვენ თვალწინ საუცხოო სურათი გადაიშალა. მიდამოს მწვანე მთების ლამაზი რკალი უვლიდა გარს და სქელ-შავწარბიან სახეს მოგაგონებდა, აქა-იქ მწვერვალებითგან თეთრი კოშკ-ტაძრები გადმოიყურებოდენ—ერთგული გუშაგნი ძველი საქართველოისა, შუაში გველივით რკინის გზა გაწოლილიყო და მზეზე ლაპლაპობდა. ერთი მხრით მტკვარი, გაღმა კოპწია მწვანეში გახვეული სოფელი ძეგვი, გამოღმა მონასტრის სათივეები და საყანეები, ჩრდილოეთით მაღალი გვერდ—მოხდენილი მთა—ომის დროის საფარი გვირაბებით, რომელსაც კალთაში თვით მონასტერი, ჩაუსვია და მკლავები მაგრათ მოუხვევია, არსად გაუშვას საყვარელი შვილით.

როცა აღმოსავლეთით მივბრუნდით, საშინელი უფსკრული დამეხატა თვალწინ და უნებურად უკან დავიხიე, არ ჩამენთქა მეთქი. ღმერთო ჩემო, რა უწყალოდ მიულეწ—მოულეწია ეს მთა რაღაცა ძალას. უნებურად იფიქრებ, რომ რაღაცა გეოლოგიური კატასტროფა უნდა მომხდარიყო, თუ ნამდვილად-კი მხოლოდ ნიადაგისა ც ალიზის ხასიათის ც ნიავრის შედეგია. ნაფლეთებად ქცეულ გორებს და ყარამალაზე გადატრიალებულ ფერდობებს აქა-იქ, ღარიბად, შერჩენია ბუჩქნარი—მოწამე ოდესღაც ერთიანი მწვანე ფლორისა.

საზოგადოდ ეს ალაგი უნებურად გაფიქრებინებს, რომ აქ ალბად ოდესღაც ცხრათავიანი დევების საფლობელი ყოფილა და ქაჩუკ—ყარამან—შარანებთან ჰიდაობის დროს ფეხით მიულეწ მოულეწნიათ!

დრო თავისას შვება და შემდეგში კიდევ მეტს განსაცდელს უმზადებს ამ საყვარელი თვისების მიწას—მადანს, რომელიც გამსკდარ—საქმიანი—მცოდნე ევროპიელის ხელში დიდი და ფასდაუდებელი მასალა იქნებოდა კარგა მორთული აგურხანისათვის და ცემენტხანისათვის.

ფლორით შიო ღარიბია, თუმცა არც ისე ღარიბი, როგორც ეს რკინის გზიდან ეჩვენება მგზავრს. თვით მონასტრის უბეში ბევრად უფრო მეტი მცენარეა, შორეული მგზავრის თვალთაგან მიფარებული. აქ შევნიშნე: 1) თრიმლი, რომელსაც ძლიერ უნდა მოსწონდეს აქაური მშრალი ნიადაგი, თუმცა ამ ძვირფასი სამეურნეო მცენარის ბუნება ჯერ სუსტადაა ჩვენ მი შესწავლილი. ჩვენში საზოგადოთ ბევრი სამკურნალო და სამეურნეო-სამრეწველო მცენარეა, მარა, სადა ბამბის, თამბაქოს, ჩაის, ვაზის, მოცვს, კაკლის ხეს, თხილს, ბზას, თუთას, ეკლის ხეს, მუხას, წაბლს, ძელქვას, ჰადარს, დაფნას, ურთხმელს ვერ ვაფასებთ, რაღაცა თრიმლს ვინღა დაუკვირდება?! 2) თუთუბო (ფრიად სასარგებლო მცენარე), 3) მუხა, 4) კვინცხა, 5) ტყა, 6) ბზა (შემოტანილი) 7) თუთა, 8) ვაზი, 9) ჰერამი, 10) ცაცხვი, 11) გუნდა, 12) ძეძვი (ცოცხალი ღობისთვის შესაწირგავი ეკალი).

მონასტრის ეზო ღარიბულათ მოწყობილი ნიშით იწყება, სადა უბრალო ხატი ღვთის-მშობლისა, ასვენია რუსულ-ქართული წარწერით.

ეს ნიში და მისი ალაგიც მეტი ყურადღების ღირსია. პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ ალაგმა—ყელმა დარაჯმა—კარისკაცივით უნდა მოსულისთანავე დაარწმუნოს სტუმარი, რომ იგი აქ მოსულით არ მოტყუებულა.

VII.

დაღამებამდი ერთი საათი-და თუ იქნებოდა, არქიელის—წინამძღვრის ბინაში რო შევედით. მასპინძელმა დასვენებაც არ მაცალა, რომ იქვე მოთავსებული წინასაცავისაკენ გამიპატიჟა, სანამ შეღამდებოდეს, ეს მაინც ვნახოთ. მეც, სწორე მოგახსენოთ, მეჩქარებოდა საკუთარი თვალით ხილვა და პირდაპირ განცდა იმისა, რაც წიგნიდან გამიგია და თქმაც აღარ დავაცალე ყოვლად სამღვდელოს, რო უკან გავყევი.

და უნდა გატეხილი გითხრათ, ისტორიის წერის ნება მას არ უნდა ჰქონდეს, ვისაც ამ ისტორიის საგნები, ნაშთნი წარსულისა საკუთარი თვალით არ უნახია და თავის ფსიხიკაში არ განუცდია. უამისოდ დაწერილი წიგნი, მით უმეტეს ისტორია, ყოვლად ულაზათო და უგემური იქნებოდა. ადგილობრივ ნახვა—განცდა ისაა, რაც ორი სადი თვალი ადამიანისათვის. ბრმას, რაც უნდა ბევრი ელაპარაკო ლაჟვარდ ცაზე, ვარსკვლავებით მოჭედილზე, ის ბევრს ვერას გაიგებს და შეიძლება ზეპირადაც დაიმახსოვროს თქვენი სიტყვები, უფრო ლამაზადაც გამოსთქვას იგი, მაგრამ მის სულიერ არსებაში, მის ფსიხიკაში, მის ინტუაციაში ცდა მისი ვარსკვლავებით, ციაგით, ლაპლაპით კრთომით, ციმციმით, იერით მაინც გაუტარებელი, განუცდელი, გადაუხარშველი დარჩება. ასეთი ბრმაა წიგნის მკითხველიც, მას მხედველობის შთაბეჭდილებანი აკლია, მხოლოდ შენ ცარიელ სიტყვებს ატრიალებს გონებაში, უსულო უსხეულო სიტყვებს და სულიერ არსებაში ფეხებს ვერ იდგამს, ორგანიულ ნაწილად ვერ შედის, პიროვნების ინდივიდუალური ელფერი აკლია და კვალი არ აჩნია. განა ცოტა წამიკითხია და გამიგონია მაზეზ? მარა, რაც ერთი თვალის გადავლებით ვიგრძენ—განვიცადე, იმისი მესედიც არ მიმყოლია იქ მისვლამდე ჩემ გონების სალაროში და სულში. ნახვა—განცდის შემდეგ სულ სხვა ვიყავი, მე და შიო ერთის სულიერ არსებათ ვიქეცით შესისხლხორცებით.

მღ. მ. კელენჯერიძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით მონაწილეობა საფრანგეთის ასპარეზზე ბრძოლებში. საექსპედიციო კორპუსს უფროსობს გენერალი ბაიუ. ნავსადგურში რჩებიან ფრანგების ჯავშნოსნები „სენ-ლუი", „შარლემანი", ინგლისისა—„ალბიონი", ფრანგების კრეისერი „ლატუშ-ტრევილი", „ასკოლდი" და ფრანგების რამდენიმე კონტრ-ნაღმოსანი.

ბულგარეთი.

ბუქარესტი. 29 სექტემბერი. ტრუნსევერნიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის მოწინავე სადარაჯოებმა პრახოვოდან ზაიჩარისაკენ მიმავალი მატარებელი შეამჩნიეს, რომელსაც რუსეთიდან მასალა მიჰქონდა. ბულგარლებმა მატარებელს საშინელი სროლა დაუწყეს მთელ ხაზზე კომეინიცასა და ზაიჩარის შუა ტიმოკის ველზე, რამდენიმე ვაგონი ააფეთქეს. სადგურ ტაბაკოვეცის ნაწილი დანგრეულია.

ომის ამბები.

დასავლეთის ასპარეზზე საერთო მდგომარეობა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის. ბოლო დროს ოფიციალური დეპეშები მხოლოდ კერძო ეპიზოდებს გადმოგვცემენ. ეტყობა, რომ ახალი შეჯგუფება ჯერ არ დამთავრებულა. გერმანელების ეხლანდელი მოქმედება მხოლოდ დაფარვაა ამ ახალი შეჯგუფებისა. დვინსკის რაიონში კვლავ სწარმოებს მკაცრი ბრძოლა. აქ მოქმედების ცენტრი ამ ჟამად დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით გადაიდა. გაიფარონკა და სპრუგინი სწორედ დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობენ ილუქსტის მახლობლად. დანარჩენ ხაზით მთელი დვინსკის რაიონისა საარტილერიო სროლაა და ეს სროლა მომასწავლებელია დიდი იერიშისა. დვინსკმა მეტად გაუჭირვა საქმე გერმანელებს და ცხადია იგინი ისე ადვილად არ დაანებებენ თავს დვინსკს. ტბების ხაზითაც საარტილერიო სროლაა. აქაც მოსალოდნელია შეტაკება. ცენტრის შესახებ ცნობები არ არის. არ არის ცნობები აგრეთვე დუბნო-როვნოს რაიონების შესახებ. გალიციაში ტრემბოვლის დასავლეთით, სადაც წინად რუსის ჯარმა ავსტრიელების ხაზი გაარღვია, ეხლა ავსტრიელებს კონტრ-იერიშები დაუწყიათ.

სამაგიეროდ დასავლეთის ასპარეზით მოქმედება თანდათან უფრო ცხოველდება და თითქმის მთელი ბრძოლის პირის ყველა ალაგას ან მკაცრი სროლაა, ან და შეტაკებანი ხდებიან. შეტაკებებს ცვალებადი ხასიათი აქვს, ზოგან ფრანგები იწევენ წინ, ზოგან გერმანელები. როგორც ირკვევა, ინიციატივა კვლავ გერმანელებს უჭირავთ ხელთ. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით არა სჩანს ნიშნები, რომ აქ დიდი ფართო ოპერაცია იწყებოდეს, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ესეთი კერძო, თითქოს განცალკევებული შეტაკებანი თან და თან საერთო დიდ ოპერაციად გადაიქცევიან ხოლმე.

საერთო ყურადღება დღეს ბალკანეთისაკენ არის მიპყრობილი. ავსტრია-გერმანელებმა ფართოდ შეუტიეს სერბიას და სერბიამ უკვე დუნაის ძლიერი ხაზი დაჰკარგა. ობრენოვაცის-ბელგრადის და სმედერევის ხაზის დაკარგვა მდ. დუნაის ხაზის დაკარგვას უდრის. სმედერევო უმთავრეს რკინის გზაზეა, სმედერევო-ნიში-სოფია და ამავე რკინის გზას ემუქრებიან კნიაჟევაცის მხრით ბულგარელები. სმედერევოდან კნიაჟევაცამდე 160 ვერსია. არც ისე დიდი მანძილია. მოკავშირეთა ჯარს, რომელიც სოლუნში მოვიდა, ნიშამდე თითქმის 300 ვერსის გავლა დასჭირდება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ჯარი პირდაპირ ბულგარეთს შეესიოს მისის სამხრეთის საზღვრებით. ამისათვის მოკავშირეთა საკმაო ძალები არა ჰყავთ და ესეთი შესევა მათთვის მეტად სახიფათო იქნებოდა. მაშასადამე, უფრო მოსალოდნელია, რომ იგინი ნიშისაკენ წავლენ სერბიელების პირდაპირ დახმარებისათვის. მაშ, თუ სერბია იმ ხნობამდე, ვიდრე ეს მაშველი ჯარი მოუვა, შესძლებს და გაუმკლავდება როგორც ავსტრია-გერმანელებს, აგრეთვე ბულგარელებს, მოკავშირეთა ჯარის მოშველებას აზრი ექნება და შესაფერი შედეგიც მოჰყვება. პირიქით: თუ სერბიამ ვერ გაუძლო საკმაო ხანს ორის მხრით შეტევას, ან და მოკავშირეთა ჯარმა დაიგვიანა, მაშინ სერბიის მდგომარეობა მეტად გამწვავდება და მოკავშირეთა ჯარის გადმოსხმასაც აზრი დაეკარგება. სულ სხვა გარემოება შეიქმნებოდა, საბერძნეთი რომ გამოსულიყო და ალბად სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია საბერძნეთში პოლიტიკური კრიზისი და ვენიზელოსის გადადგომა. ცხადია, საბერძნეთის საქციელმა რამდენად შესცვალა მდგომარეობა და რამდენად გაუძნელა საქმე მოკავშირეთ.

(ს. ფ.)

საფრანგეთის მდგომარეობა.

რეჩის კორესპონდენტი დმიტრიევი პარიზიდან იტყობინება, რომ შამპანში გერმანელები ყოველ დღე კარგვენ მეორე ხაზის საფარ პუნქტებს. თუმცა მტერმა მიიღო მაშველი ჯარი პირველი ხაზის დასაბრუნებლათ, მაგრამ ფრანგები, ტაგიურის აღების შემდეგ, ენერგიულათ წინ მიიწევენ მენილისკენ, რომელიც ციხეთ არის გადაქცეული. მენილის აღებით ფრანგები თავის ფრონტს გაასწორებენ.

ელჩის განცხადება.

ათინაში მყოფი ინგლისის ელჩი აცხადებს ოთხთა შეთანხმების საყურადღებოთ, რომ სალონიკის ნავთსადგურითა და რკინის გზით თავისუფალი სარგებლობა მათთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს და მოითხოვს ამის გარანტიას. პარიზის გაზეთები აცხადებენ, რომ საბერძნეთის პლატონიურმა პროტესტმა სალონიკში ჯარის გადასხმის შესახებ მდგომარეობა გაართულა და საჭიროა მისი გამორკვევა. ინგლისი ენერგიულათ შეუდგება მოლაპარაკების განგრძობას, რადგანაც ზღვაზე ჰეგემონია მის ხელში რის.

ვარშავის პრეზიდენტი.

ვარშავის პრეზიდენტმა თდ. ლიუბომირსკიმ გაზეთ „აზ ესტ-"ის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„მე არ შემიძლია გადმოგცეთ რაიმე პოლიტიკური ცნობა. მე ვრჩები რუსს ქვეშევრდომათ. პოლონელების თანაგრძნობა გერმანელებისადმი რუსების გასვლის წინ არ იყო კარგი.

პოლონელები პრუსიას ისე უყურებენ, როგორც პოლონეთის მტერს. ამ ჟამათ პოლონეთი ვერავითარ პოლიტიკას ვერ აწარმოებს.

აგიტაცია მოსაწონი არაა. პოლონელები უნდა ფხიზლათ უცდიდენ საქმის მდგომარეობის გამორკვევას. პოლონეთის არისტოკრატიის უმრავლესობამ ვარშავა ომის წინ დასტოვა. დანარჩენები კი რუსებთან ერთად გავიდენ."

ჯარის გადასხმა.

გაზ. „ჟურნალ-"ი იტყობინება სტოკჰოლმიდან დაწვრილებით საყურადღებო ცნობას სალონიკში ჯარის გადასხმის შესახებ. რკინის გზის სამი ლიანდაგი რომელიც პირველი საბერძნეთიდან სერბიისაკენ მიდის, ორი კი—სალონიკ—დევგელისა და ხალონიკ—უსკიუბისკენ ავსტრიელ საზოგადოებათა განკარგულებაში იყო. საზოგადოებებმა ბერლინიდან ბრძანება მიიღეს ყველა ვაგონი და ლოკომოტივები გაგზავნონ ბულგარეთის საზღვრისკენ და ამ გვარათ ხელი შეუშალონ წესიერ მიმოსვლას. ავსტრიის აგენტები გზის გაფუჭებასაც კი შეეცადენ, მაგრამ საბერძნეთის გზათა მინისტრმა დიამანტიდესმა ამის შესახებ წინასწარი გაფრთხილება მიიღო და იგი ნაღმოსნით გაეშურა სალონიკისკენ. მინისტრმა გაყარა ავსტრიელი დირექტორები და გზის მოხელენი და ამ ჟამათ გზაზე წესიერი მიმოსვლა სწარმოებს.

ყალბი ცნობა.

„ჟურნალ დე-ჟენევის" კორესპონდენტი ბუქარესტიდან ოდესით იტყობინება, რომ ხმები იმის შესახებ, ვითომც სერბიაში შესაჰრელათ შეგროვილი იყოს 600,000 მეომარი, სინამდვილე არ არისო. აგრეთვე ყალბია ის ცნობაც, ვითომც მაკედონიის ლეგიონში 150000 კაცი იყოს შეკრებილი. ლეგიონში მხოლოდ 60000 კაცამდეა, რომელნიც ცუდათ შეიარაღებულნი და ჩაცმულები არიან, ბულგარეთის ზოგიერთი მოღვაწე ეჭვის თვალით უყურებს იმ გარემოებას, რომ ავსტრო—გერმანია საჭირო სამხედრო სურსათს ვერ მიაწვდის ბულგარეთსაო. ენერგიული ზომებია მიღებული, რომ ჯარის კაცებმა მცხოვრებლებთან დამოკიდებულება არ იქონიონ. მსხვილი ცენტრებიდან ჯარი მთლად გაყვანილია, დარჩენილია მხოლოდ მცირე რიცხოვანი გარნიზონი.

მსახიობი მარო მდივანი.

(წრევანდელი სეზონი გამო).

ატლანტიის ოკეანეზე გადასაფრენათ.

გერმანიის პრესა ამერიკის წყაროებიდან იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობამ შეერთებულ შტატებს შეუკვეთა 250 ბიპლანი დიდი ზომისა, იმ განზრახვით, რომ ბიპლანებს შეეძლოსთ თავისუფლათ გადაფრენა ატლანტიის ოკეანეზე ამერიკიდან ევროპაში. ოქტომბრის დამლევს უკვე მზათ იქნება რამდენიმე მათგანი და გადაფრინდება ინგლისში.

სერბიის საზღვარზე.

ბუქარესტში უნგრეთით მიღებული ცნობებით, ავსტრო-სერბიის საზღვარზე საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა. ავსტრო გერმანელების ბატარეიამ მოახერხა დაეფარა სამი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმის გადასხმა ადაკალესთან. ბატარეიამ 500 ყუმბარამდი გაისროლა. სერბიელები სუსტათ უპასუხებდენ. სამაგიეროთ გათენებისას სერბიის ბატარეიამ ორშოვს მძლავრათ დაუშინა ყუმბარები. აურაცხელი შრაპნელი, რომელიც ორშოვში წვიმასავით ცვიოდა, სქდებოდა და ბევრ ადგილას ცეცხლს აჩენდა.

გერმანელი აფიცრები ბულგარეთში.

ბუქარესტის გაზეთი „ეროსი" იტყობინება, რომ გერმანიის გენერალური შტაბის 60 ოფიცერი, რომელთაც ტრანსილვანიაში. ავსტრო-გერმანიის ჯარი დაათვალიერეს, ბულგარეთს გაემგზავრენ ბულგარეთის ჯარის სახელმძღვანელოთ.

ვარნისა და ბურგასის გამაგრება.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, საჩქაროთ ამაგრებენ ვარნას და ბუგასს, მუშაობა სწარმოებს გერმანელების ხელმძღვანელობით. ნავსადგურის შესასვლელი დაკეტილია. მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ ღამეების ათევა.

საბერძნეთის შეიარაღებული ნეიტრალიტეტი.

„ტიმეს" ათინიდან ატყობინებენ, რომ ახალი მთავრობას განზრახვა აქვს დაიცვას მეგობრული დამოკიდებულება სერბიასთან, ხოლო რაც შეეხება ბულგარეთს ახალი მთავრობა მასთან შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს დაიკავებსო. ყოველივე შემთხვევაში ზაიმსის მთავრობა ხელს არ შეუშლის მოკავშირეებს სამხედრო დახმარება გაუწიონ სერბიას.

ბულგარეთის მუქარა საბერძნეთისადმი.

ბუდაპეშტის გაზეთის ცნობით, რადოსლავოვმა განუცხადა საბერძნეთის ელჩს, რომ სალონიკში ჯარის გადმოსხმა ეწინააღმდეგება იმ განცხადებას, რომელიც ახლახან საბერძნეთის მთავრობამ სოფიაში წარადგინაო.

ამიტომაო, ამბობს რადოსლავოვი,—ბულგარეთის მთავრობა პასუხმგებელი არ იქნება, თუ ბულგარეთის ხალხის დამოკიდებულება ბერძნებთან შეიცვალაო. მსგავსი განცხადება წარადგინა ბულგარეთის ელჩმა ათინაში.

ზაიმსის პოლიტიკა.

როგორც გაზეთ „ტეიმს" ათინიდან ატყობინებენ, ზაიმსს გადაუწყვეტია გერმანელების მოკავშირე სახელმწიფოებთან არავითარი კონფლიკტი არ მოახდინოს. მინისტრპრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე კეთილი განწყობილება შეინარჩუნოს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოების მიმართ და საერთოდ შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის პოზიციაზე იდგეს ბულგარეთის შესახებ.

„ბ. ვ."

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გაზ. „სამშობლოს" კანტორა პატივისცემით მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ გადაუხდიათ—ნუღარ დააყოვნებენ ფულის გამოგზავნას.

ქართული პრესა.

„საქართველო" ეხება ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებას თბილისში, თვითმმართველობის როლს ამ დამოკიდებულებაში და ამბობს:

> ყველასათვის ცხადია, რომ თბილისის თვითმართველობის ჩვენ ხელში გადმოსასვლელად საჭიროა ცენზის—ამრჩევითი და ასარჩევად დაკანონებული უფლების—უმრავლესობა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ისინი ამ ძალას, სხვათა შორის, ხმარობენ იმის წინააღმდეგაც, რომ ჩვენ ქონებრივი ძალა—ცენზი შევიძინოთ.
>
> ამგვარად ეს გზაც ჩვენთვის მეტად გაძნელებულია. ჩვენ არამც თუ იმ საშუალებებს უნდა მივმართოთ, რომლითაც სხვები შეიძენენ ხოლმე ქონებრივ ძალას, არამედ ამასთან ერთად და სწორედ ამისათვის უნდა ვებრძოლოთ კიდეც ყველა იმ დაბრკოლებას, რომელსაც გვიყენებენ ისინი ჩვენ ქონების შეძენის წინააღმდეგ.
>
> ვაჭრობა არ არის ძნელი საქმე, როცა არ გიშლიან. ხოლო ვაჭრობა შეუძლებელი ხდება, როცა ერთი ვაჭრის წინააღმდეგ ამხედრდებიან რამოდენიმე გვერდითვე მოწყობილნი ვაჭარნი და კონკურენციის ძალით და სხვაფრივ ცდილობენ დაუშალონ ამ ერთს ვაჭრობა. ეს კონკურენცია კიდევ არაფერი. უბედურება იმაშია, რომ მოწინააღმდეგეს, იმას, ვინც ცდილობს შენ ქონება არ შეიძინო, ხელში კანონიერი ძალაც კი უპირავს. ქალაქის თვითმართველობას, როგორც ქალაქის მმართველს, ამ მხრივ ბევრი საშუალება აქვს ხელში და ადვილად შეუძლიან დაგიშალოს და გაგიძნელოს ვაჭრობა.

რა უნდა ვქნათ, რომ ასეთ მოვლენას წინააღმდეგობა გავუწიოთ? საშუალება ერთად ერთია—თბილისის მესაკუთრე ქართველობამ, ვაჭრებმა, მრეწველებმა და ხელოსნებმა მტკიცე კავშირი უნდა მოაწყონ. ჩვენმა საკრედიტო დაწესებულებებმა კი სახსარი უნდა უშოვონ ჩვენს ვაჭრებს, რომ ისინი დამოკიდებულნი აღარ იყვნენ ისეთ საკრედიტო დაწესებულებათაგან, რომლებიც ახრჩობენ მათ. მთავარი კი ის არის, რომ ქართველ მესაკუთრეთა და ვაჭართა ელემენტი თბილისში იზრდებოდეს. ეს უკვე მთელი საქართველოს საქმეა. მთელმა საქართველომ უნდა წარმოშვას იდეა და ხალხიც, რომლის მისწრაფება თბილისის გაქართულება იქნება.

ეხება რა გაზეთი **„მეგობარი"** ცვლილებას კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციაში, სხვათა შორის სწერს:

> თფილისის თ. აზნაურობის წარმომადგენელმა თ. დ. ჩოლოყაშვილმა მადლობითაც კი მიმართა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც უმაღლესად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. მადლობა გამოუცხადა იმ კეთილგანწყობილების გამო, რომელსაც გრაფი ყოველთვის იჩენდა ქართველ თ.-აზნაურობისა და საზოგადოებისადმი, ვინც იცის ქართველ, თუ გნებავთ, თ. აზნაურობის ვიწრო წრეების აზრიც დაგვეთანხმება, რომ „მადლობა" თბილისის თ. აზნაურთა წარმომადგენლისა სრულ სიყალბეზე არის აგებული. თ.-აზნაურობის წარმომადგენელმა ამ შემთხვევაში იმ მონის როლი იკისრა, რომელიც დაუძლურებულ ბატონსაც კი ვერაფერს უბედავს. ტყვილა ვინმე დაინახავს ამ საქციელში ჯენტლმენობას, ჯენტლმენობასა და მონობის შუა დიდი საზღვარია: ჯენტლმენი არა საკადრისს საქციელს არ ჩაიდენს
>
> არსად და არავითარ შემთხვევაში. ჩვენი თ. აზნაურობის წარმომადგენელმა ჯენტლმენობა მაშინაც ვერ ჩაიდინა, როცა არავითარი შემავიწროებელი გარემოება არ ქონდა.

თავ. დ. ჩოლოყაშვილის ასე ჯვარცმა „მეგობრისგან" ჩვენ სრულიად უადგილოთ მიგვაჩნია და არც არაფრით არის გამოწვეული. ყველას ახსოვს თავ. ჩოლოყაშვილის სიტყვა მიმართული გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი. ამ სიტყვაში ისეთი არაფერი იყო ნათქვამი, რაც არ ითქმოდა. მადლობას გწირავთ რომ ყურადღებით ეპყრობოდით თავად-აზნაურობას და მის ცალკე პირთო. აი, მთელი სიტყვა თავ. ჩოლოყაშვილისა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი. იმ ჩვეულებრივ რულადის შემდეგ, რომელსაც იმღეროდა მუდამ ქართველი თავად-აზნაურობა, ყოველ შეხვედრისა და ყოველ გამოსალმების დროს, თავ. ჩოლოყაშვილის მოკლე სიტყვა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი სულ ახალი სიტყვაა და სწორედ თავ. ჩოლოყაშვილმა არ დააჩოქა მთელი ქართველი ერი წამავალ გრაფის წინაშე. მის სიტყვაში ქართველი ხალხი სრულებით არ იხსენიება და იხსენიება თავად აზნაურობა და მისი კერძო წარმომადგენელნი, რომლებიც თვითონ არ იტყვიან უარს, რომ სარგებლობდენ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ყურადღებით. ეს კი უნდა ეთქვა თავად ჩოლოყაშვილს, რადგანაც იმის გარდა, რომ ის ქართველია და ძალიან კარგი ქართველიც, მეხუთე კლასის მოხელეც არის რომლისთვისაც ოფიციალური სიტყვები, სხვათა შორის, მეათე ტომის ძალითაც იწერება ჩვენა გვგონია ასეთი რამ „მეგობარსაც" კარგათ მოეხსენება.

ბალმონტის შეხვედრა.

ბალმონტის შესახვედრ კომიტეტის გადაწყვეტით, მგოსნის შეხვედრა მოხდება რიონის სადგურზედ სამშაბათს, 6 ოქტომბერს. რიონში მგოსანი იქნება დილის 7 საათზედ. იქიდან თავის მეგობრებისა და პატივისმცემლებთან ერთად, ის დილის 10 ს. გამოემგზავრება ქუთაისს ეტლით. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ქუთაისში ბევრი იქნება მსურველი მგოსნის რიონზე შეხვედრისა და ამისთვის, სთხოვს ყველას ვინც იმ დილას გაემგზავრება რიონში ეტლით, ნუ დაიგვიანებს, და იყვეს სადგურზე არა უგვიანეს ათი საათისა. რიონის სადგურზე, საზოგადოება შეხვდება მგოსანს ყვავილებით და ეროვნული მუსიკით. იქ სიტყვები არ ითქმის.

სამშაბათს საღამოს, ქალაქის თეატრში ბალმონტი წაიკითხავს თავის ლექციას რუსთაველზე და „ვეფხვის ტყაოსნის" თარგმნას. ლექციის წინ მგოსნის პატივსაცემლად წარმოთქმული იქნება მისი ლექსები და სხვა.

ლექციის შემდეგ მგოსანს მიიწვევენ სადღესასწაულო ბანკეტზე.

ბანკეტში მონაწილეობის მსურველებს ვსთხოვ მიმართონ ბ-ნ პავლე მდივანს. (ივანოვის ქუჩა, ქიქოძის სახლი)

კომიტეტი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

შეცდომის გასწორება

დღევანდელს ჩვენს გაზეთში შეცდომით აწერია პარასკევი უნდა იყოს კვირა.

◆ პარასკევს, 2 ოქტომბერს მოწამეთის მონასტრის დღესასწაულის დღეს მწირველი იყო უწ. სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი მთელი კრებულით.

◆ **ბალმონტის ჩამოსვლა ქუთაისში.**

სამშაბათს, 6 ოქტომბერს, ქუთაისს ეწვევა რუსის გამოჩენილი პოეტი ბალმონტი და გამართავს ქუთაისში „შოთა რუსთაველის" საღამოს. თბილისიდან ჩამოყვება მისი თაყვანის მცემელი და ყველა რედაქციის წარმომადგენლები. ქუთაისიდან რიონის სადგურზე შეხვდება რამდენიმე მისი პატივის მცემელი.

◆ „აკაკის დღე." დღეს, 12 საათზე, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით, ქალაქის თეატრში, გაიმართება „აკაკის დღე" შემდეგის პროგრამით: 1. მიმართვა მგოსნისადმი წარმოსთქვამს **ილ. წერეთელი** 2. აკაკის მოკლე ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა—წაიკითხავს **ილ. გარსევანიშვილი.** ვ. ლექსებს წაიკითხვენ— ვ. რუხაძე, ნინო ჩარექოვისა, ვ. ფხაკაძე, ილ. ბახტაძე, ბ. გეჩინლაძე და სხვ. ლექციის დაწყების წინ მუსიკა დაუკრავს სამგლოვიარო მარშს. ფასები ჩვეულებრივია (5—30 კ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას აზრათ აქვს შემდეგი დღე ვაჟა ფშაველას უძღვნას.

◆ ხუთშაბათს და პარასკევს 1 და 2 ოქტომბერს ზედი ზედ ქუთაისის ქართულ თეატრში შ. დადიანის რეჟისორობით წარმოადგინეს გედევანიშვილის ცნობილი პიესა „სინათლე" ორივეჯერ საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

◆ დღეს ნაშუადღევის 1 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მოხდება კრება, ბალმონტის შეხვედრის მომწყობი კომიტეტისა. კომიტეტის სახელით პ. იაშვილმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ბალმონტს: „ძველი ქალაქი, ოქროს ვერძის ქვეყნის, აღტაცებით მოგესალმება და მოუთმენლად მოელის შენ, მზის სიჰამუკის და ნეტარ ოცნების მუქოსილო მარადმომღერალო.

◆ ქალაქის თეატრში დღეს, 4 ოქტომბერს, „ქართული დრამის" ამხანაგობის მიერ მესამეჯერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე" მთელი დასის გარდა მონაწილეობას მიიღებს სიმფონიური ორკესტრი ბ-ნ კარაზიანის დირიჟორობით და მომღერალთა გუნდი მ. მარაშიძის ლოტბარობით. ცეკვას ხელმძღვანელობს ბ-ნი ალელოვი.

◆ ილ. ინაშვილის კონცერტი. ორშაბათს, 5 ოქტომბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში ილ. ინაშვილი გამართავს კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რუსის გამოჩენილი მსახიობი ქალი ო. გ. შინუნგსა. და სოლისტი-ვიოლონჩელისტი კაპელნიცკი. ილ. ინაშვილი შეასრულებს ქართულ ენაზე რომანსებს „ვარსკვლავი" და განაცვალე."

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, სომხების სკოლის დარბაზში საქველმოქმედო მიზნით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება აკაკის დრამიდან „პატარა კახი" მეორე მოქმედება, კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი" მეოთხე მოქმედება და 1 მოქმედებიანი ვოდევილი „უბედური დღე" ვ. ბალანჩივაძისა. აგრეთვე მიკარბეკი რუსულათ წაიკითხავს შეშლილის წერილებიდან და დასასრულ დივერტისმენტი.

◆ 1 ოქტომბერს დ. ხონში ქიდან ამოიყვანეს დამხრჩვალი ვალიკო კვატელაძე. როგორც გამოირკვა, განსვენებული დარაჯათ იყო და ვიღაცას ბოროტ-განზრახველს მოუკლავს. ეჭვით დააპატიმრეს რამდენიმე პირი.

◆ 1 ოქტომბერს სოფელ მანდიკორში (ქუთაისის მაზრა) ინსტრუკტორი კანდელაკს წაუკითხავს სოფლელებისთვის მუქთათ ლექცია მეურნეობაზე. აგრეთვე აღუთქვამს მომავალ ზაფხულისათვის სოფლის სასამართლო ახლოს საცდელი მინდვრის დაარსებას.

◆ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი კრება მოხდება 12 ოქტომბერს.

◆ ქუთაისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას ამას წინათ მოუვიდა დაკითხვა რუსეთის კავშირის საურთიერთო დამზღვევი საზოგადოებისაგან იმის შესახებ, რომ ქუთაისში წელს მეხანძრე რაზმი არ ვარგა თუ რამე საშუალება იხმარა საზოგადოებამაო. ამის შესახებ დამზღვევმა საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ყურადღება მიექციათ ზემოხსენებულ გარემოებისთვის.

— ქალაქის სანიტარმა ილია ჩარანიძემ ოქმი შეადგინა პურის უსუფთაობისათვის ბალახვანის ქუჩაზე ისიდორე დვალს, პოლიციის ქუჩაზე ლაზარე კაისიდის და ფილიპე კაციტაძეს ოლდენბურგის ქუჩაზე.

სიტყვა

შალვა დადიანისა წარმოთქმული

სეზონის დაწყებისას, 1915 წ. ოქტ. 1 ქ. ქუთაისს.

სალამი საყვარელ ქუთაისს.

სალამი ჩემისა და ამხანაგობის სახელით.

სალამი მუდამ მკვირცხლსა, ნიჭიერს, მუდამ მოუსვენარს, მუდამ აღშფოთებულს და ამის გამო შეიძლება ბევრი შეცდომების ჩამდენსაც, მაგრამ მაინც დაუღალავ მაძიებელს უკეთესი მომავლისას.

დღევანდელი რთული მომენტი ამ დაუდგრომელ ქალაქშიც მწვავეთ იგრძნობება, მით უფრო, რომ განსაკუთრებით დასაყლეთ საქართველოს, საუბედუროთ, ბევრგვარი ჭირი და ვაება დაატყდა თავს და, აი სწორედ ეხლა უფრო უნდა გვახსოვდეს „ჭირსა შიგან გამაგრება...

ჩვენც, სცენის მუშაკნიც, რომელთაც წინანდელ სეზონის საქმეს ხელი მოვკიდეთ, უმთავრესად ამ აზრით ხელმძღვანელობდით: ყოველი ჩვენი კულტურული დაწესებულება ამ საოცარ ხანაშიც უნდა დარაჯათ უდგეს თავის საქმეს გულის უკანასკნელ აფეთქებამდე, სულის უკანასკნელ ამოხთამდე.

ყველამ მათ თავიანთი თავი უნდა შეინარჩუნონ.

თავის დაცვა!

აი საღდესო ლოზუნგი ჩვენი საზოგადო საქმიანობისა და თეატრიც ამას უნდა მიჰყვეს.

ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ წრევანდელ სეზონში ჩვენ რეფორმატორობას არ გავყვებით, თუ ვეცდებით—ერთგულისა და მუყაითი მუშაობით ჩვენი სცენა წორე გზას არ ავაცდინოთ, თუ არ ჩავხშავთ სულს ახალ გზების ძიებისას. მხოლოდ მის ხორცს შესხმას დაუტოვებთ სხვა მომენტისათვის და დღეს კი ვდგავართ რეალ ნიადაგზე.

ქუთაისი თეატრის მხრივ განებივრებულია: პირველი მუდმივი დასი ქუთაისში, როგორც ვიცით, დაარსა აწ ნეტარხსენებულმა მკვირცხლმა და მახვილ გონიერმა განსვენებულმა კოტე მესხმა, შემდეგ ამ საქმე სიცოცხლე გაფურჩქნა და აყვავა ჩვენი სცენის სიამაყემ ლადო მესხიშვილმა, აქვე უმოღვაწნიათ ჩვენი სცენის სხვა თვალსაჩინო ძალებს...

მაშასადამე, კარგათ გვესმის, რა საპასუხისმგებლო მოვალეობასაც ვკისრულობთ, მაგრამ ერთი რომ არც ქუთაისისათვის ვართ უცხონი, მეორე—საზოგადოთ, თავს თავზე ლაპარაკი მეტია და მესამე უმთავრესად იმედი გვაქვს მუშაობის, მუშაობის, მუშაობის.

მუშაობის უყვირალოს, ჩუმის, უხმაუროსი.

ჩვენი ფრაზა—„ვეცადოთ ნაკლები დავპირდეთ, მეტი გავაკეთოთ." უბრალო ფრაზა არ გახლავთ, ეს შეიძლება თამამად ვსთქვათ, უკეთუ გარეშე პირობებმა ხელი შეგვიწყეს.

პირობები კი, ესეც პირდაპირ უნდა ითქვას, ვერა გვაქვს კარგი: შენობა უვარგისად მოუწყობელი, თეატრი მოუწყობელი. მაგრამ განა სანთელს აქრობს ვინმე, როდესაც ელექტრონი არა აქვს.

სანთელი მაინც უნდა ენთოს!

ჩვენი შემწე ქუთაისის დრამატიული საზ. გამგეობა თუმცა დღეს-დღეობით ხელ-მოკლეთ არის, მაინც შეძლებისა და გვარათ, შემწეობა აღმოგვიჩინა სხვა კი არავითარი სუბსიდია, არავითარი სახსარი არც ქალაქისა, არც ბანკებისა და არც თავად-აზნაურობისაგან ჩვენ არა **გვაქვს.**

ყველა ამის სამაგიეროთ მხოლოდ-და ჩვენი ენერგია შეგვრჩა და... თქვენი, ფართო საზოგადოების თანაგრძნობა.

ჩვენ შორის უნდა გაიბას უხილავი, მაგრამ გრძნობიერი სიმები. ამ სიმებმა არც ერთი მხრით ყალბი ბგერა არ უნდა გამოსცეს. ორივე მხარე ერთი მეორეს უნდა დავეხმაროთ: ჩვენ იმითი, რომ ამ პირობებშიაც ვეცადოთ რიგიანი წარმოდგენები მოგაწოდოთ, თქვენ კი წვრილმანებშიაც არ უნდა შეგვიშალოთ ხელი. არასოდეს არ უნდა განიშორონ ფიქრიდან, რომ თეატრი მართლაც ტაძარია, რომ აქ შენობას და კედლებს კი არა აქვს მნიშვნელობა, რაც უნდა შეუფერებელი იყოს იგი, თვით სათეატრო მოქმედებას, რომელსაც მაყურებელი მუდამ მოკრძალებით უნდა ეპყრობოდეს. ამისი ხსოვნა უფრო მართებს ახალგაზრდობას, ამ ჩვენ მომავლის იმედს, რომელიც ძლიერ უნდა შეეჩვიოს თავის კულტურულ დაწესებულებათა პატივის ცემას, იმ დაწესებულებათა, რომელთაც მომავალში თვითონვე ჩაუდგება სათავეში და ამისათვის მართებულად დაიჭიროს თავი.

ნუ იქნება უდროვო დროს ხმაურობა, სცენაზე მოქმედების დროს სხვა და სხვა გვარი შენიშვნები, კოცნის დაცინვა, ტირილის გამოჯავრება და სხვ. ამას სხვა არა იყოს რა ზრდილობაც არ მოითხოვს. ნუ იქნება სხვისი ადგილის დაჭერა, უდრო დროს შესვლა-გამოსვლა,

შეუფერებელია!

ერთხელ და სამუდამოთ მივუჩვიოთ ჩვენ მსახიობნი თქვენს პატივისცემას, თქვენ კიდევ ჩვენსას და მაშინ საქმე უკეთ წავა.

მაშ გაგვიმარჯოს და... გაგიმარჯოსთ!

თეატრი.

სეზონის დასაწყისი.

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში გაიხსნა სეზონი ქართულის დრამისა ქუთაისში. ითამაშეს ი. გედევანიშვილის „სინათლე." „სინათლე" ისეთი პიესა არ არის, რომ დასს პირველ დღესვე ეჩვენებინა თავისი ძალები, თუმცა პიესაში მონაწილეობა მიიღეს დასის საუკეთესო მსახიობებმა და თვით ეფემ. მესხმაც. პიესის შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგანაც მის შესახებ ბევრი დაწერილა. მოკლეთ აღვნიშნავთ, რომ კარგი ბედი ხვდა და მიზეზი ის არის, რომ მასში ბევრი ეფექტია და ეს ეფექტები იმ თავითვე გამოიყენეს ქართული თეატრის რეჟისორებმა. იმის თქმა, რომ ქუთაისის თეატრშიაც შეასრულეს ეს ეფექტები სავსებით, შეუძლებელია. მაგრამ რაც კი შესაძლო იყო ქუთაისის სცენაზედ, რეჟისორის მუშაობა არ დაუკლია. პროჟექტორობის უქონლობა, ცხადია, ბევრგან ხელს უშლიდა პიესას. საჭირო დეკორაციების უქონლობამაც თუ ცელი დაღი დაასვა პიესის ზოგიერთ მოქმედებას, მაგალითად, ბელზებელის სადგომს. მაგრამ მიუხედავათ ასეთი ნაკლისა, პიესა მაინც იქნა ნათამაშევი და ზოგიერთმა მსახიობმა ახალი რამეც კი შეიტანეს თამაშში. ასეთად მიგვაჩნია ჩვენ ი. ზარდალიშვილის ტანისამოსი მეოთხე სურათში. პატარა როლი დედოფლისა ჩვეულ ტემპერამენტით შეასრულა დამსახურებულმა მსახიობმა ეფემია მესხმა. კარგი იყო ყალიბეგიშვილიც მეფე ჯიმშერის როლში. ცენტრალური როლებია პიესისა ავთანდილი და დავითში, ელ. ანდრონიკაშვილისამ და ზარდალიშვილმა ითამაშეს საკმაო დაკვირვებით და კარგათ. დანარჩენი მსახიობნი, ხორო და ორკესტრი ანსამბლს ხელს უწყობდნენ, თეატრი სავსე იყო ხალხით, რომელსაც პიესის დაწყებამდე დასის რეჟისორმა შალვა დადიანმა სიტყვით მიმართა, რაც დღევანდელ ჩვენს გაზეთშიც არის მოყვანილი. ხალხმა ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს როგორც მსახიობთ, ისე რეჟისორს.

იგივე პიესა განმეორებულ იქნა მეორე დღეს, პარასკევს, 2 ოქტომბერს. წარმოდგენას საზოგადოება ისევ მრავლად დაესწრო, მსახიობებმა კი უფრო უკეთ ითამაშეს. იმედი უნდა გვქონდეს, დასი მუყაითობას და უნარს გამოიჩენს და არც საზოგადოება მოეკიდება მას უყურადღებოთ.

—ლი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ზახვი (ოზურგეთის მაზრა). ნათქვამია, „კარგი მუდამ კარგია"-ო, ეს თქმულება ზედ გამოჭრილია ს. ზახვზე. კაცები ს. ზახვში ძლიერ ცოტანი დარჩნენ; ახალგაზრდები ჩვენში იმყოფებიან, მაგრამ ამ ცოტა რიცხვში (უფრო მეტ მოხუცებულებს) არ სძინავთ; ხელი-ხელ ჩაკიდებული ამა თუ იმ საერთო სასიქადულო შრომას ეწევიან. არა ერთიდან გავიგონე: „ფიქრი და ჯავრი არას გვიშველის, ახლა მეტი წინდახედულობა და მუშაობა გვმართებსო". წარმოიდგინეთ მკითხველო! ამ დანარჩენ ერთ მუჭა ხალხს, თავს უდვიათ და ყოველ ენერგიას ხმარობს, გარეშე ორკლასიან ნორმალური სკოლისა, კიდევ გახსნან ოთხ კლასიანი სასწავლებელი და ვიდრე მთავრობა დახმარებას გაუწევდეს, თვითონ იკისრეს ამ სკოლის შენახვა და ყოველივე ხარჯი. ნებართვაც მიიღეს 27 ამ ენკენისთვეს და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდათ. ვისაც კი შევხვდი, ასე გაიძახიან, სულ არ გაგვიჭირდება, ხარი რომ გავყიდო, ფულს შევიტან, მაინც მოვეწყობილი ვიქნებითო; ერთმა ისიც-კი მითხრა: თუ მთავრობამ ცემით ოთხ სათის ვადაში შვიდი ათასი მანეთი გადაგვახდევინეს, მაშ კი შევძლებთო, მხოლოდ საერთო მონდომება უნდაო. იმედებსაც ბევრს ამყარებენ, რომ გამოუჩნდებიან გულშემატკივარნი, რადგან ს. ზახვიდან ბევრნი არიან ასთე თუ ისე ნასწავლნი, აქვთ დაჭერილი შესაფერი ადგილები სხვადასხვა ქალაქში და რა საკვირველია, გაჭირვებით, მაგრამ იმ იმედით, რომ თავის სამშობლო ს. ზახვში, იქნება ოთხ კლასიანი სკოლა, შეძლების და გვარად გამოიღებენ შეწირულებას, მხოლოდ ფულით და ამით შეძლება საბოლოოთ დაგვირგვინდეს ეს დიდი უკვე ნებადართული სასახელო საქმე.

მე ჩემდა თავად გადავეცი ბ. ექვთიმე თოდრაძეს 30 მანეთი და ვალდებული ვარ ხუთი წლის განმავლობაში ვიხადო ოცოცი მანეთი ყოველ-წლივ და ვსთხოვ ყველა ქველმოქმედ პირს, ხელი შეუწყოს და დაეხმარონ ამ დიად საქმის დაგვირგვინებას.

აქვე ბ. მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციო შემდეგზე: დავესწარი დასაფლავებას; ასაფლავებდნენ კ. ჯინჭარაძის ცოლს ჯერ ახალგაზრდას (27 წ.) ვერ წარმოიდგენია, მკითხველო, რა გაკვირვებაში მოვედი, როცა ხალხმა თავი მოიყარა 3 საათზე; უთვალავი ქალი, კაცი კი სულ იყო ოცი, არც მეტი არც ნაკლები. მიცვალებულის დაასაფლავეს უხარჯოთ სოფლის დადგენილებისამებრ.

მიცვალებულს წინ მოუძღოდათ ახალგაზრდა კოხტათ გამოწყობილი გოგოები, ხელში ცოცხალი ყვავილებით. მიცვალებულის კუბო ყვავილებით [illegible] კული; სწორეთ წარმტაცი [illegible] ველების ასეთი საქციელი.

შ. თენიეშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ათავსოთ ჩემი პასუხი დავით სოლომონის ღუღაძის მიმართ:

„სამშობლოს" № 180 მოთავსებულია რილი, რომლითაც ბ. ღუღაძე მიწვევს მე დიატორის სამართალში შესახებ ვექსილ ოჯახის გარემოების გამო ვერ შემეძლო დ დის გამეცა პასუხი: მე თანახმა ვარ გავსამ თლდეთ მედიატორებთან და ჩემის მხ ვნიშნავ მედიატორად კალისტრატე ნი ლოზის ძე ჩიკვაიძეს, ხოლო მესამე მე ტორე უნდა ამოირჩიონ ბ. ღუღაძის მე ტორემ და ჩემმა, დროც საქმის განხილ მათ უნდა დანიშნონ.

გიორგი დავითის ძე წულუკიძ

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიერ ხსნილ სახელოსნო—შკოლის გამგე, მასწ ლებელნი და მოწაფენი დიდ მადლობას უძ ვნიან ბ. ვასილ გიორგის ძე წერეთელს რაში ერთხელ უსასყიდლოთ გიგიენის ლ ციის კითხვისათვის.

სახ ხკ. გამგე ოლღა ქორქაშვილი.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძ**

„სინათლის" საზოგადოების დედათა ქართულ
სასწავლებელში მისაღები გამცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენ
ტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი" („როსსია")
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლი
სა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დ ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვე კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალა ქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლ მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძ**

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლ ნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწა ლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღ ლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობ **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრ სი: აზირანის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძის ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—4

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი.
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგ რეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელებ აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიებ **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის მსაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.